

## სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 15)

სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა (შემდგომში-პროგრამა) განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სტუდენტების სწავლის საფასურის, მატერიალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

წარჩინებული, დედ-მამით ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტუდენტების უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა და მოტივაციის ამაღლება.

### მუხლი 2. დაფინანსების წყარო

გარდაზნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ძალაშია 2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლები

გარდაზნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 25 წლამდე აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, რომლებიც:

- ა) სწავლობენ საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურზე, არიან დედ-მამით ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი) ან/და სოციალურად დაუცველი (100 000 ქულის ჩათვლით) ოჯახებიდან;
- ბ) სწავლობენ საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურზე და აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება (მთლიანი სარეიტინგო 90 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით).

### მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლების დაფინანსების ორგანიზება

1. სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან

შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს. მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში.

2. პროგრამა ითვალისწინებს:

ა) მე-4 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ სტუდენტების სოციალურ დახმარებას 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველთვიურად აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში;

ბ) მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ წინა სემესტრის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სწავლის სემესტრული თანხის თანადაფინანსებას 500 (ხუთასი) ლარის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შემთხვევაში 700 (შვიდასი) ლარის ფარგლებში;

გ) შესაძლებელია ერთი სტუდენტი დაფინანსდეს წელიწადში ორჯერ. პროგრამა ითვალისწინებს წლის მანძილზე პირველი 60 (სამოცი) განცხადების თანხის დაფარვას. განცხადება საჭიროა წარმოდგენილ იქნას პირველი სემესტრის შემთხვევაში 15 სექტემბრამდე, ხოლო მეორე სემესტრის - 15 მარტამდე, გადასახადის დაფარვის საბოლოო ვადის მითითებით;

დ) სწავლის საფასურის თანადაფინანსების მიღება არ გამორიცხავს ყოველთვიური სტუდენტის სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები**

წარსადგენი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);

დ) ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი არ არიან ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არიან რეგისტრირებული (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);

ე) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან „მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ“ ან განმცხადებლის და მისი დედმამიშვილების დაბადების მოწმობების ასლები (მრავალშვილიანი ოჯახის შემთხვევაში);

ვ) მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედ-მამით ობოლი სტუდენტის შემთხვევაში);

ზ) სსე აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ (შშმპ შემთხვევაში);

თ) ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის დადასტურების შესახებ (ცნობა საჭიროა წარმოდგენილ იქნას ყოველი თვის 10-დან 25 რიცხვამდე მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის შემთხვევაში);

ი) საბანკო რეკვიზიტი (მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის შემთხვევაში);

კ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან აქტიური სტუდენტის აკადემიური მოსწრების (ქულების შეფასების), გადასახადის რაოდენობისა და მისი დაფარვის ვადის შესახებ (მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის შემთხვევაში);

ლ) ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) საბანკო რეკვიზიტების მითითებით აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან (მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის შემთხვევაში).

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებებისა და დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.

2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

3. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების რაოდენობა.

## მუხლი 10. პროგრამის შედეგი

დედ-მამით ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტუდენტების უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა. წარჩინებული სტუდენტების მოტივაცია.